# შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№16 (9.730)

28 აპრილი-7 მაისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა





## „ჩემი მთავარი მისიაა, ადამიანები გადავარჩინო სულიერად“...

გვ.4-5





## საჩუქრები სათნოების სახლის ბენეფიციარებს

გვ.2

## მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 250 ლარს მიიღებენ

გვ.2

## როგორ აღნიშნავენ აღდგომას საქართველოსა და ევროპაში

გვ.8



# გილოცავთ!



აღდგომის დღესასწაული თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთი უდიდესია ქრისტიანულ სამყაროში. მარხვითა და სინანულით აღდგომის ზეიმს ვეგებებით, რადგან ეს დღესასწაული სიხარულთან ერთად უდიდეს სასწაულთან ასოცირდება-სულიერი ამაღლებისა და სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებასთან. იესო ქრისტემ აღდგომის სასწაულით კაცობრიობას თავისი ღვთიური ბუნება უჩვენა და დააფიქრა ადამის მოდგმა მრავალ ფასეულობაზე. მან გამოსცადა აღზევებაც და გაცემაც, ღალატიც და ერთგულებაც, მაგრამ ამის მიუხედავად, ძე ღვთისას მისია ბოლომდე შეასრულა და ადამიანთა ცოდვები საკუთარ თავზე აიღო, 30 ვერცხლად გაყიდულმა გოლგოთისაკენ მიმავალ გზაზე ტკივილის დათმენისა და მიტევების ღვთიური მაგალითები დაგვიტოვა. ქრისტეს აღდგომა არის ახალი სიცოცხლის დასაბამი, სიმბოლო განახლებისა და ნათელი მომავლისა, რომელიც კიდევ ერთხელ გვმატებს რწმენას, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ქრისტე აღსდგა!

ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი**



ქრისტე აღსდგა! -ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს უფლის ბრწყინვალე აღდგომას გილოცავთ. ქრისტიანულ მოძღვრებაში აღდგომა, თავისი არსიდან გამომდინარე, ყველაზე დიდი დღესასწაულია, რითაც ადამიანთა მოდგმამ შეიცნო მათივე გამოსახსნელად განკაცებული უფლის ძის ღვთაებრივი ბუნება. აღდგომა სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, სიკეთის ბოროტებაზე ზეიმის, განახლებისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა. ის ასევე ნიშანია კაცთმოყვარეობისა და მიტევებისა, რომლის მაგალითიც მაცხოვარმა ჯვარცმით გვაჩვენა. უკვე ორი ათასწლეულია, რაც კაცობრიობა აღდგომის დღესასწაულს ეგებება , მაგრამ საზოგადოებაში არც სააღდგომო ტრადიციები გახუნებულა და არც მაცხოვრისადმი რწმენა და სიყვარული განელებულა. ...და გაივლის კიდევ არაერთი საუკუნე და ადამიანები კვლავინდებური სიხარულით მიულოცავენ ერთმანეთს: ქრისტე აღსგდა ! -ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე. კიდევ ერთხელ გილოცავთ , ბედნიერი აღდგომა გქონოდეთ, უფლის წყალობა და მფარველობა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს.

ზვიად ჯავახიშვილი,
**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

# საჩუქრები სათნოების სახლის ბენეფიციარებს



დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები სათნოების სახლს ეწვივნენ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზვიად ჯავახიშვილმა, გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დოდო ხუნაშვილმა სახლის ბენეფიციარებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული წინასწარ მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.



# მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 250 ლარს მიიღებენ



ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2016 წლის სოციალურ პროგრამაში ვეტერანებისთვის განკუთვნილი თანხა არ შემცირებულა. პროგრამით წელს დედოფლისწყაროს მასშტაბით 15 ვეტერანი ისარგებლებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 თებერვლის N04 დადგენილებაში შესული ცვლილების საფუძველზე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები 9 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით ფულადი საჩუქრის სახით ერთჯერადად 150 ლარის ნაცვლად 250 ლარს მიიღებენ.



# ახალი სამთავრობო პროგრამა კოოპერატივებისთვის

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე კონსტანტინე ხუცაიძე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რძის მწარმოებელ ფერმერებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა. შეხვედრაზე ხუცაიძემ ფერმერებს რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა გააცნო.

ალნიშნული პროგრამა კოოპერატივებისათვის კაპიტალურ ინვესტირებასა და ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებს. კაპიტალური ინვესტირების ნაწილში სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმ კოოპერატივებისათვის, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს მიიღებენ და დააკმაყოფილებენ ს ალნიშნული პროგრამის მოთხოვნებს, სამოცი ათას ლარამდე თანხის ინვესტირებას განახორციელებს.



კონსტანტინე ხუცაიძე: „საქართველოს მთავრობა იწყებს რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამას, რომელიც რძის მცირე მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას ითვალისწინებს. იმ ფერმერებისთვის, ვისაც სურს მსგავსი საწარმოს შექმნა, მაგრამ ჯერ ვერ გადაუწყვეტია კოოპერატივის შექმნა, მატთვის საინფორმაციო კამპანიას ვატარებთ".

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებგვერდს: www.acda.gov.ge-ს

# ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

***დიდი წმიდა მარხვა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულით გვირგვინდება. ეს არის სანატრელი დღე - დღე უფლისა, რომლის შესახვედრადაც ასე დიდხანს ვემზადებით. აღდგომას ყველანი ვდღესასწაულობთ, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა - "ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა".***

"ჯვარცმული ქრისტე კლდეში გამოკვეთილ საფლავში დაასვენეს და ლოდი მიაგორეს, დაუყენეს მცველთა დასი. შუაღამისას მოხდა დიდი მიწისძვრა და როგორც მახარებლები აღწერენ, იყო დიდი ნათელი. მცველები უგრძნობლად დაეცნენ. მოხდა უდიდესი სასწაული: ქრისტე აღდგა! აქედან შეიძლება უკვე მივიჩნიოთ, რომ დაიწყო აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნა. შეშფოთებულმა სინედრიონის წევრებმა, რომლთაც უფალი გასცეს და მიუსაჯეს ასეთი სიკვდილი — ჯვარცმა და სატანჯველი, მოისყიდეს მცველები ფულით, რომ ეთქვათ, თითქოს უფალი კი არ აღდგა, არამედ მისმა მიმდევრებმა მოიტაცეს გვამი და რომ ამაზე პასუხისმგებლები არ იქნებოდნენ ისინი, რადგან უფროსებთან უკვე მოლაპარაკებულნი იყვნენ.

მოგეხსენებათ, რომ ქრისტე ყოვლისშემძლებელი ღმერთია, რომელმაც იპოსტასურად მიიღო ადამიანური ბუნება - ქრისტე — ღმერთი, ქრისტე -კაცი, ანუ ჩვენი ბუნებრივი კაცობა და, მაშასადამე, აღადგინა ჩვენი მომკვდარი ბუნება, მოგვანიჭა დახსნა ჩვენი ცოდვებისაგან და აღდგა".

აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნას თანამედროვე სახე IV საუკუნიდან მიეცა. თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობა) მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს.

"აღდგომის დღესასწაულის თარიღი მოძრავია. მითითებულია, რომ არ უნდა ემთხვეოდეს იუდეველთა დღესასწაულს და გაზაფხულის პირველი კვირიდან მთვარის განახლებამდე პერიოდში უნდა აღინიშნოს. ეს რამდენად მართებულადაა დადგენილი, ამას ზეციური ცეცხლის გადმოსვლაც მოწმობს.

ზეციური ცეცხლის გადმოსვლა უფლის სასწაულია. ეს მოვლენაც ისეთივე ბუნებრივია, როგორც მზისა და მთვარის ამოსვლა და ჩასვლა. ეს არის უშუალოდ ღვთის განგებულება და ზებუნებრივი მოვლენა, რომ ყოველ აღდგომას ნიშნად აღდგომის დღესასწაულის მოახლოებისა, იერუსალიმის აღდგომის ტაძარში ღრუბლის სახით ჩნდება ცეცხლი, რომელიც ელვისებურად გადმოდის ზეციდან და ყველა ჩამქრალი კანდელი ინთება. ამის შემდეგ შუაღამიდან იწყება აღდგომის საეკლესიო მსახურება და, ტიპიკონის განწესებულებისამებრ, გრძელდება დილამდე.

ყოველი ქრისტიანი აღდგომის დღესასწაულს ცოდვებისაგან განწმედილი უნდა შეხვდეს. უნდა დაიცვას მარხვა, თქვას აღსარება, ეზიაროს, შეეცადოს, საღმრთო რჯულის წესები დაიცვას, მისი სინანული იყოს ნამდვილი და არა — ზერელე, არ დაივიწყოს, რომ თვითონ ქრისტემ იმარხულა 40 დღე-ღამე. დიდმარხვაში ბევრი ავადმყოფი ადამიანი განკურნებულა მარხვითა და ლოცვით. თუ პიროვნებას უფლის სიყვარული აქვს, მან არ უნდა იფიქროს თავის სნეულებაზე, რომ ვერ შეძლებს მარხვას, არამედ სწამდეს, რომ ქრისტე მიუძღვის მას მარხვით, ისიც ამგვარადვე უნდა შეუდგეს უფლისაკენ მიმავალ გზას, იმ რწმენითა და სიყვარულით, რომ მაცხოვარი მას კურნებასა და მშვიდობას მისცემს. დიდი მარხვის დასრულების შემდგომ კი იგი იგრძნობს, მასში რაღაც განახლება მოხდა და სიხარული დაიშვა, რომ ქრისტე წინ წარუძღვა და დიდი ბრწყინვალებისა და ნათლის განცდა მიეცემა. როცა ეს დღესასწაული დიდი ზეიმით დასრულდება, ის ქრისტესთან და მის წმიდანებთან ერთად დიდი, წარუვალი და წარუშლელი სიხარულის მოწმე შეიქმნება."

აღდგომის დღესასწაულისათვის, ტრადიციულად, წითლად ვღებავთ კვერცხებს. კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა. ამ ჩვეულებას დიდი ხნის ისტორია აქვს. არსებობს ასეთი გადმოცემა: უფალმა ამაღლების წინ მოწაფეები სხვადასხვა ადგილას გაგზავნა, რათა ყველასთვის ეხარებინათ მისი აღდგომა. საქადაგებლად მარიამ მაგდალინელიც გაეშურა. ის რომში ჩავიდა და იმპერატორის სასახლეში მივიდა, სადაც დაუბრკოლებლად შეუშვეს, რადგან ცნობილი პიროვნება იყო. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: "ქრისტე აღდგა!" დაეჭვებულმა იმპერატორმა თქვა: "როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო". მოულოდნელად კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ სასწაულის შემდეგ ქრისტიანები აღდგომის დღესასწაულს წითელი კვერცხებით ეგებებიან.

წესად დამკვიდრდა სასაფლაოზე აღდგომის დღეს, კვირას გასვლა, რაც მართებული არ არის. ამ დროს ადამიანს გლოვა არ შეშვენის. ყოველი ქრისტიანი საფლავზე მეორე დღეს, ანუ ორშაბათს უნდა გავიდეს, რათა მიცვალებულსაც ახაროს ქრისტეს აღდგომა.

## ბრწყინვალე შვიდეული

აღდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. ამ კვირას ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე.

ტრადიციულად ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს ვიხსენებთ მიცვალებულებს, გავდივართ საფლავებზე, მაგრამ ამჯერად ჩვენ მათ ვიხსენებთ არა იმიტომ, რომ განშორება ვიგლოვოთ, არამედ იმიტომ, რომ ვახაროთ მათ, "ქრისტე აღსდგა! თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და საფლავებსა შინა სიცოცხლე მიანიჭა!" ასე რომ, თუ ადამიანს სწამს ღმერთი, სწამს, რომ ის აღდგა და სიკვდილი განაქარვა, მისთვის ამ სადღესასწაულო დღეებში მიცვალებულის დატირება და გლოვა დიდი ცოდვაა. განშორების მწუხარება, რომელიც მარად ჩვენ გულშია, ამ დღეს მეტად თავშეკავებულად უნდა გამოიხატოს, რამეთუ მას ცვლის დიდი სულიერი სიხარული და განცდა კვლავ შეხვედრის უეჭველობისა. ამასთან, საფლავებზე გავდივართ სწორედ ორშაბათს და არა თვით აღდგომას, რაც არ იქნებოდა მართებული.

ბრწყინვალე შვიდეულში ყველა საეკლესიო წესს განსაკუთრებული ელფერი აქვს; წირვა-ლოცვა მხოლოდ ამ კვირისათვის დამახასიათებელი რიგით სრულდება, განსხვავებულია მიცვალებულის წესის აგება, ცვლილებაა ჩვენს ყოველდღიურ ლოცვებშიც: დაწყებით ლოცვებში სულიწმიდის მოწვევის ლოცვა "მეუფეო ზეცათაო..." სულთმოფენობამდე აღარ ითქმება. მის ნაცვლად სამჯერ ვამბობთ: "ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი".

ამ კვირაში ზიარებისათვის მომზადებაც შემსუბუქებულია: მარხვის დაცვა არაა საჭირო, ხორცის მიღება თვით ზიარების წინა დღესაც კი შეიძლება. იცვლება მისალმების წესიც: აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტიანები შეხვედრისას "გამარჯობის" ნაცვლედ ერთმანეთს ახარებენ: "ქრისტე აღსდგა!" - "ჭეშმარიტად!", "ჭეშმარიტად აღსდგა!", "ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე".

## არტოსი

აღდგომის დღიდან მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე ეკლესიაში კანკელის წინ დგას პატარა მაგიდა პურით. ეს პური საგანგებოდაა გამომცხვარი და ეწოდება არტოსი (არტოს - ბერძნ. პური). ამ სადღესასწაულო დღეებში არტოსი განსაკუთრებული მადლით იმოსება და დიდ სიწმინდეს წარმოადგენს.

აღდგომის სწორზე - კვირაცხოვლობას, არტოსი მცირე ნაწილებად იჭრება და მორწმუნეებს ურიგდება. ჩვენ ეს ნაჭერი უფრო მცირე ნაწილებად უნდა დავყოთ და მთელი წელი ვიმყოფინოთ: ავადმყოფობის ან სხვა განსაცდელის ჟამს უნდა მივიღოთ, როგორც სულიერი წამალი საკურნებლად სულისა და ხორცისა. არტოსი უნდა შევინახოთ წმინდა ადგილას.



კვირაცხოვლობა ანუ აღდგომის განახლება თომას კვირა

ბრწყინვალე შვიდეული გვირგვინდება კვირიაკით, რომელსაც ეწოდება კვირაცხოვლობა, ანუ ახალი კვირა, ანუ აღდგომის განახლება.

ეს დღე განახლებაა აღდგომის დღესასწაულისა. ამ დღიდან მოყოლებულიყოველი კვირიაკე (კვირა დღე) აღდგომის დღესასწაულია, სწორედ ამიტომ ვიკრიბებით ქრისტიანები კვირაობით ეკლესიაში სადღესასწაულო წირვაზე. ძველი ქრისტიანები კვირაობით ეკლესიაში სადღესასწაულო წირვაზე. ძველი ქრისტიანები ყოველ კვირა დღეს ერთმანეთს სააღდგომო მისალმებით ხვდებოდნენ: "ქრისტე აღსდგა!" - "ჭეშმარიტად!"

კვირაცხოვლობას ეწოოდება აგრეთვე თომას კვირა, შემდეგი მიზეზის გამო: სახარებაში აღწერილია, თუ როგორ გამოეცხადა აღდგომის დღეს, საღამოს, მაცხოვარი თავის მოწაფეებს და უჩვენა თავისი ჭრილობები. როდესაც ეს შეიტყო თომამ, რომელიც ამ შეხვედრას არ ესწრებოდა, გული დაწყდა და თქვა, სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ იესოს, არ დავიჯერებ მის აღდგომასო. აღდგომიდან მერვე დღეს ისევ კვირა საღამოს, მაცხოვარი კვლავ გამოეცხადა მოწაფეებს, ამჯერად თომას თანდასწრებით, უჩვენა ჭრილობები და უთხრა თომას, მისულიყო და ხელით შეხებოდა. თომა მუხლებზე დაეცა, თაყვანი სცა მაცხოვარს და თქვა: "უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი". იგი პირველი იყო მოწაფეთა შორის, რომელმაც სრულად აღიარა იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება. "შენ იხილე და ირწმუნე, თომა, - უთხრა უფალმა, - ნეტარ იქნებიან ისინი, ვისაც არ უხილავს და იწამა".

მაცხოვრის ეს სიტყვები გვეხება ჩვენ, მის შემდგომ ქრისტიანებს. ღმერთმა მოგვმადლოს ეს რწმენა და აღთქმული ნეტარება.

ასე რომ, წინ დიდი სიხარული გველის. ამ სიხარულის განცდას მით მეტად შევძლებთ, რაც უკეთ მოვემზადებით მის შესახვედრად მარხვითა და ლოცვით.

უფალო იესო ქრისტე, ჩვენო მეუფევ და ღმერთო, დაგვეხმარე, რომ მოვიკრიბოთ სულიერი თუ ფიზიკური ძალები და შენთან ერთად ავიდეთ გოლგოთის უკანასკნელ აღმართზე, შენთან თანაჯვარსვეცვათ, თანადავეფლათ, რათა შენთანვე აღვსდგეთ მკვდრეთით და დავიმკვიდროთ ჩვენთვის გამზადებული საუკუნო ადგილი მარჯვენით ღმრთისა და მამისა; ღმერთო, შენ აცხოვნე სრულიად საქართველო, ამინ.

## ამაღლება

ქრისტეს ბრწყინვალე დღესასწაული ორმოცი დღე გრძელდება. აღდგომიდან ორმოცი დღის განმავლობაში იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ყოველდღე ეცხადებოდა, ამხნევებდა და სახარისეულ ჭეშმარიტებებს განუმარტავდა. ჩვენ ორმოცი დღის მანძილზე ამ დიდ სიხარულში ვმონაწილეობთ და შეხვედრისას ერთმანეთს კვლავ სააღდგომო მილოცვით ვესალმებით: "ქრისტე აღსდგა!" - "ჭეშმარიტად აღსდგა!"

მეორმოცე დღეს ქრისტემ მოწაფეები ელეონის მთაზე წაიყვანა, მათ თვალწინ ამაღლდა ზეცაში და თვალს მიეფარა. სახარებაში წერია, რომ მოწაფეები იერუსალიმში გახარებულები დაბრუნდნენ, ნაცვლად მოსალოდნელი მოწყენილობისა საყვარელ მასწავლებელთან განშორების გამო. მათი სიხარულის მიზეზი ის იყო, იესო ქრისტემ ნუგეშისმცემლის - სულიწმიდის მოვლინება აღუთქვა, რაც მოწაფეების ღმერთთან მარადიულ მყოფობას ნიშნავდა. ამაღლების დღესასწაულზე, რომელიც ათორმეტთაგანია (ერთ-ერთია ათორმეტი დიდი დღესასწაულიდან), აღდგომიდან მეორმოცე დღეს, ტაძრებში სრულდება საზეიმო წირვა-ლოცვა, რომელზეც სასურველია ყველა ქრისტიანი ეზიაროს.

## სულთმოფენობა

ამაღლების შემდეგ მოწაფეები იერუსალიმში დაბრუნდნენ. ისინი ერთად ელოდებოდნენ დაპირებული ნუგეშისმცემლის — სულიწმიდის მოვლინებას. და აი, ამაღლებიდან მეათე დღეს (რომელიც აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეა), დილის ცხრა საათზე, იერუსალიმში მოულოდნელად ამოვარდა უცნაური ქარი, ციდან გადმოვიდა ღვთაებრივი ცეცხლი და მოწაფეებს ცეცხლის ენების სახით დაადგრა თავზე. მოწაფეებმა, რომლებიც აქამდე ებრაელებთან შეხვედრას ერიდებოდნენ, საოცარი ძალით დაიწყეს ქადაგება სხვადასხვა ენაზე. სულიწმიდის მადლი ქრისტეს 120 მოწაფეზე გადმოვიდა, მაგრამ უკვე პირველ დღეს წმ. პეტრე მოციქულის პირველმავე ქადაგებამ 3000 ადამიანი მოაქცია. სულთმოფენობის დღესასწაულზე რომელიც ასევე ათორმეტთაგანია, აღდგომიდან ორთოცდამეათე დღეს ტაძრებში საზეიმო წირვა-ლოცვა სრულდება, წირვის შემდეგ იკითხება მუხლმოდრეკის ლოცვები, რომლის დროსაც პირველად მოვიყრით მუხლს აღდგომის დღესასწაულის შემდეგ. ამ დღეს ასევე პირველად ვამბობთ სულიწმიდის მოწვევის ლოცვას. "მეუფეო ზეცათაო..."

სულთმოფენობის დღესასწაულს მეტად ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს; როდესაც წმ. წინასწარმეტყველი მოსე ებრაელებს ეგვიპტიდან გამოუძღვა, მან ისინი მეორმოცე დღეს სინას წმ. მთასთან მიიყვანა, ხოლო ორმოცდამეათე დღეს მისცა ღვთაებრივი სჯული ძველი აღთქმისა. აქედან მოყოლებული დღე სჯულის მიღებისა ებრაელებისათვის უდიდესი ყოველწლიური დღესასწაული იყო, რომლის დროსაც იერუსალიმში მთელი მაშინდელი მსოფლიოდან თითქმის ყველა ებრაელი იკრიბებოდა. ღმერთმა სწორედ ამ დღეს მოუვლინა მოწაფეებს სულიწმიდის მადლი, რაც ძველი სჯულის ახლით შეცვლის ნიშანი იყო. ეს დღე ქრისტეს ეკლესიის დაარსების დღედ ითვლება.

ტრადიციულად, სულთმოფენობის დღესასწაულზე ეკლესიები მწვანით უნდა შეიმოსოს. ტაძარი შიგნიდან ირთვება ყვავილებით, ფოთლებით და აყვავებული ტოტებით, ძირს ეფინება რაც შეიძლება ბევრი ბალახი. მორწმუნეები წირვაზე მოდიან ყვავილების ლამაზი თაიგულებით, შუაში ჩამაგრებული ანთებული სანთლებით, რომლებიც წირვის შემდეგ იკურთხება. ეს ყველაფერი საოცარ სანახაობას წარმოადგენს. ტაძრის მწვანით შემოსვის ტრადიციაც ძველი აღთქმიდან მოდის, ებრაელები სჯულის მიღების დღესასწაულზე უფალს მადლობის ნიშნად, ტაძარში პირველ ნაყოფს სწირავდნენ.

იგულისხმება, რომ სულიწმიდის მადლყ ამ სიმწვანეზეც გადმოდის, რის გამოც მორწმუნეები ტაძარში დაფენილ ყვავილებსა და ბალახებს მთელი წელი ინახავენ და ხმარობენ; - ამ ბალახის ნახარშს კურნების სასწაულმოქმედი ძალა აქვს, რაშიც თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია დარწმუნდეს.

## ზატიკის დასასრული

სულთმოფენობის დღესასწაულით თავდება ბრწყინვალე აღდგომის სადღესასწაულო ორმოცდაათი დღე, რომელსაც ზატიკი ეწოდება და რომლის შემდეგაც ეკლესია ჩვეულებრივ რიგით კალენდარზე გადადის.

სულთმოფენობის დღესასწაულის შემდეგი კვირა არის მსგეფსი — ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია. ამ შვიდეულის შემდეგ კი კვლავ მარხვა იწყება, რომელსაც პეტრე-პავლობის მარხვა ეწოდება. იგი გრძელდება 28 ივნისამდე (ახალი სტილით 12 ივლისი), როდესაც ეკლესია თავმოციქულების - წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ხსენებას დღესასწაულობს.

ზატიკის ბრწყინვალე სადღესასწაულო დღეების ხანმოკლე სიხარული ოდნავ გვაზიარებს იმ ენით გამოუთქმელ მარადიულ სიხარულს, რომელსაც უფალი მის მორწმუნეთ უმზადებს. ჩვენდა და სრულიად საქართველოს მარადიულ ზატიკში ცხოვრება ინებოს ღმერთმა, რომელსაც შვენის დიდება, პატივი და თაყვანისცემა - მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

# „ჩემი მთავარი მისიაა, ადამიანები გადავარჩინო სულიერად“...

გამარჯვებაში წმინდა სამების სახელობის ტაძრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. გთავაზობთ ინტერვიუს მის მოძღვართან მამა იოანესთან:

მინი დოსიე: **დაიბადა სოფელ გამარჯვებაში 1978 წელს 29 დეკემბერს. დედა, გულიკო ბაშარული დიასახლისი გახლდათ, მამა დიმიტრი გივიშვილი, ომის მონაწილე და კოლმეურნეობაში განთქმული მუშაკი იყო. ბავშვობა სოფელ გამარჯვებაში გაატარა, დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, რომლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში, სწავლის დროს მოექცა სარწმუნოებაში და ღმერთი შეიყვარა. წარმატებით დაამთავრა სამხედრო აკადემიის სრული კურსი, დაინიშნა კოდის პირველი ქვეითი ბრიგადის ოფიცრად, იყო შტაბის უფროსი, რომლის შემდეგ უფლის შთაგონებით დატოვა სამსახური და ნეკრესის ეკლესიაში სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა. 13 წელი დაჰყო და იმოღვაწა ჯერ გრემის, ხოლო შემდეგ ნეკრესის მამათა მონასტერში. იქვე აღიკვეცა ბერად და გახდა ლომისციხის მონასტრის წინამძღვარი. ნეკრესში მოღვაწეობისას, როგორც სულიერ მოძღვარს, დიდი წვლილი მიუძღვის ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში. ღვთის ნებით და ეპისკოპოსის გადაწყვეტილებით, 2013 წელს თავის მხარეში მოუწია დაბრუნება, ჩამოსვლისთანავე ხორნაბუჯის და ჰერეთის ეპარქიაში, კერძოდ სოფელ გამარჯვებაში წმინდა სამების სამნავიანი ბაზილიკის მშენებლობა დაიწყო, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება და შემომწირველთა ნებაზეა დამოკიდებული ამ ტაძრის სრულყოფა.**



**-მამა იოანე, რას ნიშნავს იყოთ თქვენი ბავშვობის სოფლის წინამძღვარი?**

-ეს არის დიდი პასუხისმგებლობა და ამავდროულად ძალიან დიდი სიამაყე. სოფელში აქამდე ტაძარი არ იყო, სადაც ხალხი შევიდოდა და სანთელს დაანთებდა, თუ არ ჩავთვლით ზღმურდლის ეკლესიას, რომელიც სოფლისგან შორს არის და მხოლოდ დღესასწაულებზე აღევლინებოდა წირვა- ლოცვა. ხალხი ღვთის რწმენას იყო მოკლებული და ყოველკვირეულ მადლს კარგავდა, ეს ძალიან დიდი ტკივილი იყო აქაური მოსახლეობისთვის. ჩემი ნეკრესში მოღვაწეობის შედეგად, ხალხი მოექცა ქრისტეს მცნებებისკენ, მე იქ ცხოვრების დროს, ათი-თხუთმეტი ადამიანი მაინც მიმყავდა სტუმრად, გაუჩნდათ რწმენისადმი თავისი დამოკიდებულება, მათ თავი სოფლის საკრებულოს შენობაში განთავსებულ სამლოცველო სახლს შეაფარეს, სადაც ჩემს ჩამოსვლამდე დეკანოზი პეტრე სწირავდა, დღეს მეც ამ სამლოცველო სახლში ვწირავ. ტაძარი არ დამთავრებულა, იქ მხოლოდ პარაკლისებს ვიხდი, მრევლი ისევ საკრებულოს შენობის ერთ ოთახს აფარებს თავს. რას ნიშნავს თქვენი სოფლის წინამძღოლობაო, მკითხეთ და გიპასუხებთ,-ჩემს ბავშვობაში სოფელში ხშირი იყო ქუჩაში გარჩევები და ერთმანეთის დაჭრაც კი. მე მაშინ მოსწავლე ვიყავი, ჩემი არჩევანი ამ ყველაფრისადმი ასეთი იყო, განვერიდე ყოველივეს, არ ვერეოდი ჩხუბსა და კამათში, რაც ძალიან დიდად მზაფრავდა და ოჯახურ საქმეებს მივყავი ხელი. ჩემს ოჯახს ბევრი საქონელი ჰყავდა, ხელში წიგნს ვიღებდი და საქონელს ვმწყემსავდი, თან ვკითხულობდი და ვსწავლობდი, საღამოს ძროხებსაც ვწველიდი. ამით მე მაშინდელ ქუჩურ ცხოვრებას ავარიდე თავი. მე ცუდი წარსული არ მქონია, არასოდეს მიჩხუბია, ავი არაფერი ჩამიდენია, ხალხსაც სწამს ჩემი და ამიტომაა, რომ მომყვებიან. მე მათგან ვგრძნობ სიყვარულს და ამით ვცოცხლობ.

**-ვინ იყო თქვენი პირველი მოძღვარი, როდის აღიკვეცეთ და რა პასუხისმგებლობაა ბერობა?**

-ჩემი პირველი მოძღვარი 4 წლიანი კურსის სწავლების დროს მამა ანდრია თოდაძე იყო. ბერად აღკვეცა ნეკრესში მოხდა. მთელი ჩემი არსება უფალს და ჩემს ხალხს შევწირე, სხვა არაფერი მაინტერესებს, მინდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოექცეს, რათა არ ჩავარდეს სასოწარკვეთაში და ყველამ მიიღოს ის მადლი, რასაც რწმენაში მყოფი ადამიანი იღებს. 18 წელია მორწმუნე ვარ, 13 წელი უკვე მოძღვარი ვარ, ჩაცმულს მძინავს და ასევე მღვიძავს, ჩემი მთავარი მისიაა, ადამიანები გადავარჩინო სულიერად, თუ ეს ვერ შევძელი, მაშინ რაღა აზრი აქვს ასეთ მოძღვრებას?! ბავშვობიდან ასეთი შეგნებით გავიზარდე, - ღვინო არ დამილევია, ხორცს არ ვჭამ, არ შემიგინებია, ავი არავისთვის მისურვებია, ეს ყველაფერი ჩემში ბავშვობიდან შინაგანად იყო და ამიტომაც სურვილი მქონდა ასკეტური ცხოვრების. მადლობელი ვარ უფლის, ამ გზაზე რომ დამაყენა. ხშირად ვფიქრობ, ნეტავ გაცილებით ადრე დავმდგარიყავი ამ გზაზე. მე უფალს მივუძღვენი გული, არსება, შემოქმედება, რასაც ვაკეთებ, უფლისთვის ვაკეთებ და ხალხისთვის.

**-ისტორიული მოვლენის მომსწრე ხართ, თქვენი მშობლიური სოფლის ცენტრში თქვენი და ჩვენი ეპარქიის წმინდა მამების ლოცვა-კურთხევით შენდება წმინდა სამების ტაძარი, როგორ მოხვედით აქამდე და ვინ არიან ტაძრის მშენებლობაზე შემომწირველები?**

-ტაძრის მშენებლობა 2013 წელს დაიწყო, მე სწორედ ამ ტაძრის აშენების წინ ეპისკოპოსის გადაწყვეტილებით გამამწესეს აქ, საძირკველი სწორედ 2013 წლის ნოემბერში გაითხარა, პირველად ტაძრის შესაწირი თანხის მოგროვების სურვილი სოფლის რწმუნებულს გიორგი ჭინჭარაულს ჰქონდა, რომელმაც საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარა რაიონში, რათა თანხა შემოწირულიყო. დღეს თითქმის დასასრულს მიუახლოვდა ტაძრის მშენებლობა. უფლის მადლით არიან ადამიანები, რომლებსაც სპონსორობის სურვილი გააჩნიათ: ლევან გიგაური, თამაზ ფიროსმანაშვილი, კობა ჭინჭარაული. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ძირითადად შემომწირველებად ითვლებიან. ფიზიკურად კი გვეხმარება თითქმის მთელი სოფლის ახალგაზრდობა, პატარ-პატარა თანხების შემოწირვით მთელი სოფელია ჩართული. ხრეშით გვეხმარება ვახტანგ კიკილაშვილი, ბლოკით - ბიძინა პოპიაშვილი, რომელმაც 10 000 ბლოკი შემოგვწირა, დიდი მანქანებით ხრეშის ჩამოტანაში ანზორ გონაშვილი, მიხეილ, დათო და ლევან სულაშვილები გვიდგანან გვერდში. მთელი სოფლის ახალგაზრდობა, სკოლის მოსწავლეები სულ ტაძართან ტრიალებენ გვიან საღამომდე და მუდმივად იმის ცდაში არიან, რაში დამეხმარონ. მინდა აღვნიშნო, რომ მანქანის საწვავის მომსახურებისთვის უცხოეთიდან ფინანსურად ჩემი ძმა ვაჟა გივიშვილი ძალიან მეხმარება. მორალურად ჩვენს გვერდში მზადყოფნის მუდმივი სურვილი აქვს რაიონის და სოფლის ხელმძღვანელობას. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო არქიტექტორ სერგო ქართველიშვილს, რომელმაც დააპროექტა ეს ტაძარი და მშნებელ დავით ფხოველიშვილს, რომ არა მათი ნიჭისა და შემოქმედების დიდი უნარი, ამ ტაძრის მშენებლობა უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. ყველას მადლობა მინდა ვუთხრა, რომლებმაც თუნდაც ოცი თეთრი შესწირეს ტაძრის მშენებლობას. წელს უნდა დავამთავროთ ეკლესიის შენობა, შემოწირულობა განაპირობებს მის დასრულება- არ დასრულებას. ვისურვებდი, რომ გამოჩნდნენ ღვთისნიერი ადამიანები და ტაძარი ამ ზაფხულს მივიყვანოთ ბოლომდე.

**-მეცნიერები ხშირად ჰგმობენ უფალს და ამტკიცებენ, რომ სამყარო თავადაა ასეთი და რელიგია აღარაა საჭირო, არავითარი ღმერთი, ყველაფერი რაც ხდება ბუნებაში, ასტროლოგიური მოვლენებიაო, ამიტომაც გაჩნდა ფრაზა-„ვისაც აქვს მეცნიერება, მას აღარ სჭირდება რელიგია!“-მე ამას არ ვეთანხმები, მაგრამ, იქნებ ავუხსნათ ხალხს, მეცნიერება**



**მართლა გამორიცხავს რელიგიას, ანდა პირიქით?**

-არა, ეს მცდარი მოსაზრებაა, მეცნიერება და რელიგია არ უგულვებელყოფენ ერთმანეთს. თუ ადამიანი ურწმუნოა და მას არ სურს დაიჯეროს ღმერთის, ეს სხვა საკითხია. მეცნიერება თავისი გზით ვითარდება, მაგრამ, უფალი ამბობს რომ ერთი თმის ღერიც არ ჩამოვარდება უფლის ნების გარეშეო... პიროვნულად თუ ვინმეს ღმერთი არ სწამს, ეს იმას არ ნიშნავს რომ უფალი არ არსებობს, დიდი მეცნიერები ყოველთვის აღიარებდნენ უფალს. მთელი დედამიწა რომ გაქრეს, სახარების სიტყვები არ გაქრება, -ეს უფლის სიტყვებია, საძირკველია სიმართლისა და ბედნიერი მომავლისთვის, ყველაფერი უფლიდან გამომდინარეა,უფალი უშვებს იმ ავადმყოფობას, რომ ჯერ სულიერი ტკივილი მოინანიო და ეკლესიაში მიხვიდე, შეიძლება იმ აღსარებით ექიმი საერთოდ აღარ დაგჭირდეს.

**-რა არის ეკლესია ჩვენი ერისთვის?**

-ეკლესია არის საძირკველი კარგი მამულიშვილობის, კარგი ქართველობის, ტაძარი არის ადამიანის სიწმინდის და სულის ცხონებისთვის სამზადისში მყოფი ადამიანის ადგილი.კაცობრიობა მიდრეკილია ბოროტებისკენ, მით უმეტეს, დღევანდელი ცხოვრებაა ასეთი, ამერიკიდან შემოსული წესებით და კანონებით არის გაჯერებული, რომელიც ქართველობას და ქრისტიანობას ეწინააღმდეგება. ფაქტიურად ტრადიციას ვკარგავთ ამით, მაგრამ მართლმადიდებლობა არის ერთად-ერთი გზა, რითაც ჩვენ ჩვენს ტრადიციას შევინარჩუნებთ. თანამედროვე ცხოვრება აკარგვინებს ადამიანს სახეს, აღარც ქალწულობაა დაცული, აღარც წმინდანობაა, არადა ამქვეყნად ყველაზე მთავარი ეკლესიური ცხოვრება და წმინდანობაა.

**-მამა იოანე, მინდა თქვენი აზრი გამოთქვათ, სოფელში თქვენმა მოღვაწეობამ და ტაძრის მშენებლობამ, რა გავლენა მოახდინა სოფლის მაცხოვრებლებზე ?**

- ტერიტორიულად სკოლასა და ბაგა-ბაღს შორის არის მოქცეული გამარჯვების მშენებარე ტაძარი, მთელი სკოლა ჩვენი მრევლია , ბავშვები სწორად იზრდებიან, არ იგინებიან, ქუჩაში უსაქმოდ არ დადიან და არ ჩხუბობენ, ისინი კარგ საქმეზე ფიქრობენ, ტაძრის აშენებაზე ფიქრით ილვიძებენ და იძინებენ, ამაზე კარგი გავლენა რაღა უნდა იყოს?! მთლიანად შეცვლილია სოფლის ხალხის შინაგანი სამყარო... ბავშვები ხომ სიკეთეა დედამიწაზე, მათგან სინათლე შემოდის, სულ იქ ვტრიალებ, ვპატრონობ მათ, ეკლესია არის საძირკველი სიწმინდის. მამულიშვილობას კარგი ერი ასწავლის. ბოროტება ამ სამყაროს ნაწილია, რომლისკენაც თავისდაუნებურად მიდრეკილია სამყარო. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მას ჩვენი სიკეთე დავუპირისპიროთ, თუ შევცოდეთ, სინანული უნდა გაგვიჩნდეს და მოვინანიოთ, რომ უფალთან პირნათელი წარვდგეთ.

**-რა არის მარხვა?**

-შეწირულობა უფლის წინაშე, თუ მორწმუნე ადამიანს არ შეუძლია მარხვა, მაშინ როგორ უნდა შეძლოს უბოროტოდ ცხოვრება? მართალია, ის უფრო დიდი საქმეა, ენა გააჩეროს, გონებას უკარნახოს, ვილაცაზე ცუდი არ თქვას,

**(გაგრძელება გვ.5)**

# ბევრჯერ გვასახელებენ...

15 აპრილს ქ. ლაგოდეხში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების || ეროვნული კონკურსი ჩატარდა,რომლის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები,



ფონდი“ქართული გალობა“, თბილისის მერია, ვ. სარაჯიშვილის სახ.სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო საქართველოში არსებულ ნებისმიერ საგუნდო კოლექტივს. კონკურსის მიზანია აკადემიური საგუნდო სიმღერის პოპულარიზაცია, ეროვნული სასიმღერო ტრადიციების დაცვა, ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მხარდაჭერა და განვითარება, საშემსრულებლო დონის ამაღლება, შემოქმედებითი კავშირების დამყარება, საგუნდო შემსრულებლობაში ახალი სახელების აღმოჩენა.

დედოფლისწყაროდან კონკურსში მონაწილეება მიიღეს ჰ. გონაშვილის სახ. ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის სკოლამ და მასთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა(ხელმძღვანელი გელა გველუკაშვილი), წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახ.სკოლასთან არსებულმა ანსამბლმა“დები ლოლაშვილები“ (ხელმძღვანელი ნინო ნიკვაშვილი) და დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებულმა გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მანდილი“ ( ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი).

ჰ.გონაშვილის სახ. სკოლას ანსამბლი ხუთ გუნდად ჰყავდა წარმოდგენილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, კონკურსზე გატანილ 6 ხალხურ სიმღერასა და 4 საგალობელში მათ წარმატებით გადალახეს რეგიონალური ტური და უმაღლესი ქულებით გადავიდნენ ფინალურ ტურში, რომელიც გაიმართება 14-15 მაისს ქ.თბილისში. ჰ.გონაშვილის სახ. სკოლის ქართული გალობის პედაგოგის მარინა მგელიაშვილის მიერ კონკურსზე წარმოდგენილი იყო უშუალოდ სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული 2 საგალობელი, რომელიც ასევე მაღალი ქულებით იქნა შეფასებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ სკოლის ვაჟთა ანსამბლმა გასულ წელს ამავე კონკურსში მონაწილეობა ერთ კატეგორიაში მიიღო, წლევანდელი რეპერტუარის სამივე A, B და ჩ კატეგორიაში ანსამბლი ხუთ ჯგუფად წარსდგა ჟიურისა და მაყურებლის წინაშე. კახეთის რეგიონში ყველაზე მაღალი ქულები მოიპოვეს ჰ.გონაშვილის სკოლის უმცროსკლასელმა შემსრულებლებმა ძმებმა -გიორგი და ნიკოლოზ გველუკაშვილებმა, გიორგი წერეთელმა და აბრამ ახალაურმა, რომლებმაც 100-დან 99,32. ქულა აიღეს ქართულ გალობაში, ხოლო ხალხურ სიმღერაში -98 ქულა. საერთო ჯამში ანსამბლის ხუთივე ჯგუფმა ძალიან მაღალი შეფასებებით გადაინაცვლა ფინალურ ტურში, რომელიც გაიმართება 15 მაისს, ქ.თბილისში. ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსის წარმომადგენელს კახეთის მხარეში ბ-ნ გოგიტა ნატროშვილს, რომელიც აღფრთოვანებას გამოხატავს ანსამბლის და მათ მიერ შესრულებული სიმღერისა თუ გალობის მიმართ და დიდი იმედი აქვს, მიუხედავად დედაქალაქში არსებული ძლიერი საგუნდო კოლექტივებისა, ჰ.გონაშვილის სახ. სკოლის ანსამბლი ასეთივე წარმატებით წარსდგება ფინალურ ტურში, სადაც უკვე ცნობილია, რომ ქვეყნის მასშტაბით მონაწილეთა 50% გადავიდა. ბ-ნი გოგიტა დარწმუნებულია, რომ ჩვენი ბიჭები აქაც სასურველ შედეგებს დადებენ და წარმატებულები დაბრუნდებიან.



მაღალი ქულებით გამარჯვებულები დაგვიბრუნდნენ დები ლოლაშვილები ქ-ნ ნინო ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით, მათ ხალხურ სიმღერაში (B კატეგორიაში)-95,68 ქულა აიღეს, ჩ კატეგორიაში (ქართული გალობა)-97,66 ქულა, ხოლო ქ-ნ დალი ელისაშვილის გოგონათა ანსამბლმა „მანდილმა“ ხალხურ სიმღერაში 95,5 ქულა დაიმსახურა საუკეთესო შესრულებისათვის.

ჩვენ ვულოცავთ წარმატებებს ჩვენს, როგორც ნორჩ, ისე ახალგაზრდა კონკურსანტებს და ვუსურვებთ, არამარტო ფინალურ ტურში გამარჯვებას, არამედ უამრავ მომავალ კონკურსებში გამარჯვებას ჩვენი დედოფლისწყაროს სასახელოდ.

ლალი მეხრიშვილი

# „ჩემი მთავარი მისიაა, ადამიანები გადავარჩინო სულიერად“...

(მეოთხე გვერდიდან)

ბოროტი არ უსურვოს, არ განიკითხოს, მაგრამ, თუ მან ყველაზე უბრალო და მარტივი საქმე, უფლის დაწესებული მარხვა არ შეინახა და ეს ვერ შეძლო, მაშ ზემოჩამოთვლილი როგორ უნდა შეძლოს? თუ მარხვა არ დაიცვა, როგორ უნდა აღიზარდოს სულიერად?! ყველა წმინდანი მარხვით იწყებდა, ამას განწმენდა ჰქვია, ნებისმიერი დაავადება რომ ჩნდება, ის სულიერი ავადობისგან ჩნდება. ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა ერთ ჯაჭვშია, ფორმაში ხარ, როდესაც ფიზიკურად კარგად ხარ, სულიერადაც კარგად ხარ, მარხვაში რომ ვართ, სული ხორცთან კავშირშია, თუ ავადმყოფია სული,- ხორციც ავადმყოფია, ხორცი ავადმყოფია?- სულიც ავადმყოფია. უფალმა იმარხულა თავად და ჩვენ ვინ ვართ, რომ არ ვიმარხულოთ?! პირველად უფალმა ადამ და ევას დაუდგინა მარხვა, ეს აკრძალვაა კვებითი პროცენტების, ეს და ეს ხილი არ შეჭამოო, შეცდნენ , დაარღვიეს და დაისაჯნენ.

**-რამდენად მკაცრი უნდა იყოს მოძღვარი?**

-ყველა ადამიანი ცოდვილია, უცოდველი ადამიანი არ არსებობს. საერო ცხოვრება თავადაა ბოროტების საწყისი, ეს ხალხის ბრალი არაა, ეს ბოროტი ძალების ბრალია, მთავარია, ადამიანს ესმოდეს თავისი ცოდვის და სინანული გააჩნდეს, ჩვენც გვეშლება რაღაცეები, ეს ადამიანურია, რაც შეეხება მოძღვარს, მოძღვარი მიმტევებელი უნდა იყოს.

**-რას იტყვით შეწყვეტილ ორსულობაზე და რას ურჩევდით დედებს ამ შემთხვევაში?**

-დიდი საუბრების და დროის შედეგია. მრევლში ბევრი ბავშვი მყავს ისეთი, როდესაც დედას არ უნდოდა მისი გაჩენა, მაგრამ ჩემი რჩევით გაუჩენია, დღეს ყველა ასეთ ბავშვს ჩემს შვილებად მივიჩნევ. მდიდარი ბერი ვარ ამით. მქონია შემთხვევა, დედამ იცის რომ ჩაესახა, დედამთილი, ქმარი ეუბნება, რომ მოიშოროს ჩასახული ბავშვი. თითოეული შემთხვევა, ცხადია, ინდივიდუალურია, მაგრამ ერთ ასეთ ყველაზე ცუდ და, ამავდროულად, კარგი შემთხვევის შესახებ მოგიყვებით. მუცელში ბავშვჩასახულ დედას ვუთხარი, თუ მოიშორებ, ჩემგან დაწყევლილი იქნები-მეთქი, მან ის ბავშვიც გააჩინა და მას მერე სამი შვილი კიდევ გააჩინა. დღეს თითოეული მათგანი თვალხატულა შვილები არიან და მე ამით ვხარობ, რომ ჩემი მრევლი ასეთი ძლიერი მრევლია.

**-ადამიანთა უმრავლესობა სათნოებად მიიჩნევს შეცდომების მონანიებას და არა მათ არიდებას.**

-თუ მორწმუნე ადამიანმა მარტო მოინანია და ისევ ცოდვები ჩაიდინა, ეს არ არის სწორი, მონანიება რას გაძლევს?- პირველივე აღსარებიდან ძალა გეძლევა. მე მრცხვენია, მოძღვართან მივიდე რაღაც ცოდვით, რომელიც ხუთჯერ დამემართა და მეექვსედ კიდევ ვთქვა იგივე ცოდვა. მირჩევნია მოვკვდე და ის არ გავაკეთო, ჩემი განწყობა ასეთია. ყველა ადამიანი ერთნაირი არაა, მარტო მონანიებას არ ვთვლი მთავარ ამოცანად, მე ვთვლი, რომ რასაც ჩაიდენს ცუდს მორწმუნე, მუდმივ სინანულში უნდა იყოს. თავშეკავება ხილული მოძღვარია, რაღაცამ უნდა თავშეკავების უნარი მოგცეს, ღმერთს ვერ ვხედავთ, ღმერთთან კავშირში შუამავალი მოძღვარია და რა თქმა უნდა, ღმერთი, რომელსაც ადამიანი ხილულად ხედავს ღმერთად, ეს თქვენი მოძღვარი გახლავთ.

**-რა იგულისხმება მადლში?**

-მადლი ბევრნაირი შეიძლება იყოს, შეიძლება მადლი გააკეთო და იმან ადამიანს ისეთი დიდი შვება მისცეს, რომ ციხესიმაგრე ააგო და იმის საპირწონე იყოს. გააჩნია, რა შემთხვევაში და როგორ მადლს ვაკეთებთ, თუმცა მადლი-მადლია, რანაირიც არ უნდა იყოს. ყველაზე დიდი მადლია, როცა გიჭირს და მაინც მადლის კეთებაში ხარ, ჩვენ არასოდეს ვიცით უფლის სახით ვინ შეიძლება გამოგვეცხადოს და ვინ შეიძლება გვთხოვოს მადლის გაღება, შესაძლოა, უბრალოდ ქუჩაში გამვლელი, რომელმაც რაიმე გვთხოვოს, ის იყოს უფლის სახით გამოგზავნილი, ამიტომ მადლი ყველაზე კარგი გზაა სულის ცხონებისთვის.

**-რას ურჩევდით პედაგოგებს და მშობლებს, იმისათვის, რომ სწორად აღზარდონ შვილები?**

-ამ ცხოვრების მთავარი არსია, თუ როგორ წარვსდგებით ზეციერი მამის წინაშე. დღეს მე ვხედავ, რომ პედაგოგები არ დადიან ეკლესიაში, თუკი პედაგოგი არ ლოცულობს, შაბათ-კვირას ეკლესიაში არ დადის, ბავშვი, შვილი,როცა ამ ყველაფერს ხედავს, რა მაგალითს აძლევენ მოსწავლეებს, შვილებს, აქედან გამომდინარე ურწმუნონი იზრდებიან ბავშვები. ისინი ბევრნი არიან, მე ერთი ვარ. ამიტომაც არის, რომ დღესდღეობით გვესმის ის, რომ სკოლებში არასწორად ხდება აღზრდა, მასწავლებლებს ბევრი რამ ეშლებათ ბავშვთან მიმართებაში, მათ შორის ისეთი რამეებიც, რომ თავად მოსწავლეებიც კი ამჩნევენ და აკრიტიკებენ, რომ პედაგოგს ასეთი ქცევა არ შეჰფეროდაო, ასე არ უნდა მოემართა მოსწავლისთვისო, მაგრამ ყველა ეს პრობლემა არ იქნებოდა, თუკი ეკლესიურად იცხოვრებდა თავად პედაგოგიც და მაგალითი გახდებოდა მოსწავლეებისთვის. სამწუხაროდ, ბრძოლა მიწევს, ძალიან ძნელია ერში ცხოვრება, მაგრამ მე ჩემი სოფლის და ჩემი ხალხის გამო ვარ აქ. ბერისთვის ეს იმხელა ტკივილია, იმხელა ტვირთი, რომ ვინც არ იცის, ამას ვერ გაითავისებს. ბერის განმარტოვებით ცხოვრება ბევრად ადვილია, ვიდრე ერში მოძღრება და ამნაირ სიძნელეებთან შებრძოლება, მაგრამ ყველას თავისი ჯვარი აქვს სატარებელი, ყველას თავისი კურთხევა აქვს.

**-რას იტყვით ფრაზაზე -„ ღვთისმოშიშობა არის ფიქრი სიკვდილზე“.**

-ძალიან მწყინს, რომ ღმერთის მისამართით რომ იტყვიან ხოლმე, სამართალი სად არისო, ეს ძალიან დიდი ცოდვაა, უსამართლობაა ამის თქმა. უფალი ყველგანაა, ის ჩვენი ცხოვრების ყოველ ნაბიჯს ხედავს. მისთვის დაფარული არ არსებობს. ჩვენ ვცხოვრობთ ერთი დღისათვის, იქ როგორ წარვდგებით, მთელი ჩვენი ცხოვრება განაპირობებს იმ ერთ დღეს,როცა მოხდება ჩვენი განსჯა- რა დავთესეთ, ხალხს ვუყვარვართ, თუ არ ვუყვარვართ, თითოეული ადამიანი ხომ არის იგივე ხატება ღმერთისა.ადამიანთა წინაშე რა სიკეთეები გავაკეთეთ, ამასთან დაკავშირებით წარვსდგებით უფლის წინაშე. სიკვდილზე ფიქრი ყოველთვის გვაფერხებს ცუდისაკენ, უდიდესი წმინდანებიც ამავე დროს უდიდესი ცოდვილები იყვნენ თავის დროზე, მაგრამ სინანულით მოინანიეს და გახდნენ წმინდანები, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს სინანულისა და ამიტომაა ეკლესია, რომ მოვინანიოთ და დავადგეთ წმინდა გზას. სიკვდილის წონა გვეხმარება ყოველივე ამაში. ყველაფერს საერთო ჯამში სახარება განაგებს, სიმართლე არ დაიფარება, ღერძი არის წამება. ბევრი ადამიანი ტაძარში არ მიდის, ძალიან რომ გაუჭირდებათ, მაშინ მიდიან, ცოდვის გამო ადამიანი ისჯება. მერე ამბობენ, რატომ მოხდა ასეო?- კანონთა კანონი არის სახარება ანუ უფლის სიტყვა. ერთი მარცვალიც მცდარი არაა, ყველაფერი ზედმიწევნით შესრულდება.

**-მადლობა საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ, რომ თქვენი სოფლის ტაძარში მალე აღგევლინოთ წირვა-ლოცვა.**

-უფალმა გისმინოთ, მადლობა თქვენს გაზეთს იმისთვის, რომ ასეთ საკითხებს აშუქებთ.

ლალი მეხრიშვილი

## ილიკო შარვაძე



გაიღვიძა ზამთრის სუსხით მიძინებულმა ბუნებამ, დადგა წლის ყველაზე ლამაზი დრო – გაზაფხული, რომელიც სილამაზით ქარგავს ირგვლივ ყველაფერს და ხალისით ავსებს ადამიანის გულს. ბუნების ამ ზეიმს გვირგვინად ადგას დიდი სასწაული – აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, რომელიც ძვირფასია ყველა ქრისტიანისათვის.

ამ ბრწყინვალე დღეს ყველა განსაკუთრებულად ბედნიერია, ერთმანეთს ულოცავენ დიდი სიხარულით. ბედნიერია ის დედა, რომელიც შვილთან ერთად ხვდება ამ დღეს და ისმენს მისგან მილოცვას, ის დედაც ბედნიერია, ვის საფლავზეც მიდის შვილი.

მაგრამ, ვაი, იმ დედას, რომელიც შვილის საფლავზე მიდის და სანთლების ციმციმზე თვალცრემლიანი ულოცავს მას ამ დღესასწაულს.

უკვე მეოთხე გაზაფხული და მეოთხე აღდგომა მოვიდა უშენოდ, ჩემო დიდო ტკივილო, ჩემო ერთადერთო შვილო. შენი უბედური დედა გილოცავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს- „ქრისტე აღსდგა“, ჩემო ილიკო , მაგრამ რა ქნას დედამ, რომ ვერ მოისმენს შენგან „ჭეშმარიტადო“. ეს ხომ დიდი სასჯელია უფლისგან ჩემთვის. ძალიან გიყვარდა გაზაფხული და სიცოცხლე, მაგრამ არ გაცალა განგებამ. წახვედი და დამიტოვე სამუდამო ნაღველი. შენით ვსუნთქავდი, შენ დაგტრიალებდა ჩემი ფიქრი, შენ იყავი ჩემი საყრდენი კედელი, ჩემო ილიკო. ალბათ გრძნობ, როგორი გაუსაძლისია ჩემი ამქვეყნიური ცხოვრება: გლოვა, სევდა, ცრემ ლი, მოუშუშებელი ჭრილობა და უსაზღვრო ლოდინი, რომელსაც „ტანჯვა ჰქვია“.

ცხოვრება წუთისოფელი კი არა წამისოფელი ყოფილა, მაგრამ სიკვდილის ჯინაზე, შენს დედას ყოველთვის ცოცხალი ეგულები, ვიდრე ვიქნები ამქვეყნად.

განგებამ მწარე ხვედრი მარგუნა, შვილო, მაგრამ უნდა გავუძლო, რადგან შენს დედას გულს უამებენ შენი პატარა შვილები: ნია და ილიკო, რომლებიც თავიანთ ლამაზ და საყვარელ მამიკოს დაუნთებენ წმინდა სანთლებს, მიუტანენ წითელ კვერცხებს და მიულოცავენ აღდგომას.

მართალია, ნაადრევად წახვედი, მაგრამ შენ მაინც მოახერხე სიკვდილის დამარცხება იმით, რომ დატოვე შვილები და იცოცხლებ მანამ, სანამ შენი შვილები, უცნობი შვილიშვილები და შთამომავლები იქნებიან ამქვეყნად.

ქვაში გაცოცხლებული შენი და შენი საყვარელი მამის სურათებთან მრავალი სანთელი ჩაიწვება, მრავალი შესანდობარი დაილევა, მაგრამ გულში კი ერთი დიდი სანთელი მუდმივად ენთება და იკაშკაშებს, ამ სანთელს ილიკო შარვაძე ჰქვია, ჩემო დედისერთა ბიჭო.

ეს პატარა შეხმიანება გაზეთის ფურცლებიდან თქვენამდეც მოაღწევს და გაიგებთ ჩემს გულის ტკივილს. შენი საფლავი ჩემი გულის ნაწილია. ნათელში იყავი შენს ძვირფას მამასთან და პაპა- ბებიასთან ერთად. ნათელი დაადგეს თქვენს ხსოვნას, რომელსაც დავიწყების აჩრდილი არასდროს გაეკარება. სანამ ვიცოცხლებ, ყოველთვის იციმციმებს თქვენთვის.

ერთ დღეს კი მეც გამიღებთ სასუფევლის კარს და ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით.

ნათელი დაადგეს თქვენს ხსოვნას, კურთხეულ იყოს ეს მონატრება და საუკუნოდ იყოს ხსენება თქვენი.

**შენი მონატრებული დედა**
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

## გიორგი პოპიაშვილი



წელიწადი გასრულდა. შენთვის განკუთვნილი ყველა რიტუალი ჩავატარეთ. ახლა წლისთავისთვის ვემზადებით. საფლავზე ქვაში გამოკვეთილი შენი სურათი უკვე შემოგვცქერის. ახლა ნამდვილად დავრწმუნდით, რომ ყველაფერი მორჩა, შენ სამარადისო ბინა იქ დაიდე და უერთმანეთოდ ვაგრძელებთ ცხოვრებას. წარსულში დარჩა თანაცხოვრების ტკბილი მოგონებები, ჰო, ტკბილი, რადგან შენ ისეთი კეთილშობილი და ზნემაღალი ადამიანი იყავ, შენგან ნაწყენი კაცი არ დადის დედამიწაზე. შრომისმოყვარე, ერთგული, ალალი და პატიოსანი იყოო, ასე მოგიხსენებს ყველა- ოჯახიც, ნათესავებიც, მეგობრებიც და თანამშრომლებიც. თითოეულ მათგანს მოაკლდი და მოენატრე. ჯერ კიდევ ნაადრევი იყო შენი წასვლა, მაგრამ სიკვდილმა ეს არ იცის. მან შენი თოთხმეტთვიანი ტანჯვა დაასრულა, ტანჯვა, რომელიც სრულიად მოულოდნელად დაგატყდა თავს. თითქოს ჯანმრთელი იყავ, არაფერს უჩიოდი, ლოგინი და წამალი შენთვის სრულიად უცხო იყო, მაგრამ... ახალგაზრდული ენერგიით სავსემ, სხარტმა და მოქნილმა წნევის პირველსავე „შემოტევას“ ვერ გაუძლე და უგონო მდგომარეობაში საწოლს მიეჯაჭვე. მერე განშორების წუთები დადგა... შენი მონატრებით გამოწვეული სევდიანი დღეები ერთმანეთს მიჰყვა. ცხოვრებამ თავისი კალაპოტი ისევ იპოვა, რადგან ბედმა დიდი საჩუქარი გაგვიკეთა- შენი სიცოცხლე შენმა ნატრულმა შვილიშვილმა - პატარა გიორგი პოპიაშვილმა ჩაანაცვლა. მან შენზე დარდი შეამსუბუქა. ახლაც, 7 მაისს, ის, უკვე ერთი წლის ბიჭუნა, ოჯახთან, ახლობლებთან, მეზობლებთან და მეგობრებთან ერთად მოვა შენს საფლავზე, პირველ სანთელს დაუნთებს შენს ნათელ ხსოვნას და გააგრძელებს შენს ჯიშსა და ჯილაგს. თუ მართლა არსებობს გაგება, შენ, ალბათ ძალიან ბედნიერი ხარ, რომ კარგი შთამომავლობა დატოვე და მაინდან ლოცულობ მათთვის. ჩვენ კი, არასდროს დავივიწყებთ შენს თავდადებას და ერთგულებას თითოეული ჩვენგანის მიმართ და არ მოგაკლებთ სანთელ-საკმეველს, ლოცვას და ფსალმუნს, რათა დაიმკვიდრო სასუფეველი ცათა შინა.

შენი ოჯახი.

## ზიზო ბიკაშვილი



გაზაფხულია, შენ რომ გიყვარდა ისეთი გაზაფხული – გადამწვანებულ-გადაყვავებული. ეს პირველი გაზაფხულია უშენოდ, ჩვენო ძვირფასო. ტკივილით და მონატრებით სავსე ერთი წელი 3მაისს გახდება, რაც მძიმე, განუკურნებელი სენით გატანჯულმა დატოვე ეს სამყარო და მარადისობაში გადაინაცვლე. მხარი ჩამოუგდე მეუღლეს, უღალატე შვილებს და შვილიშვილებს, რომელთა კეთილდღეობისთვის მთელი სიცოცხლე თავდაუზოგავად შრომობდი და იღვწოდი. ძალიან გვაკლიხარ ყველას, შენს ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და მეზობლებს, შენს კოლეგებს სამუსიკო სკოლაში, სადაც სრულიად ახალგაზრდა მიხვედი და სამ ათეულ წელზე მეტი იმსახურე, გვაკლია შენი მუდამ ამაღლებული განწყობა, სიმხნევე და სიყვარული, რომელსაც უშურველად აფრქვევდი ყველას მიმართ. დრომ ვერ განკურნა შენი მონატრებით გამოწვეული სევდა. სამ მარტს მოვალთ შენს სამუდამო სამყოფელთან, დაგინთებთ სანთლებს, მოგილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და უფალს შევევედრებით, ნათელი დაუმკვიდროს შენს სულს! იძინე მშვიდად, შენი ხსოვნა და მონატრება არასოდეს განელდება ჩვენს გულებში.

შენი ოჯახი

## ლიკა ხატიაშვილი



ისევ მოვიდა გაზაფხული. იღვიძებს ბუნება, მზეს სითბო დაუკარგავს უშენოდ. უკვე 11 წელია, უშენოდ ვხვდებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. შენ გიხაროდა ყველაფერი, მაგრამ არ გაცალა განგებამ, 17 წლისას მოგისპო სიცოცხლე, წახვედი და გაიყოლე შენი ახალგაზრდული ფიქრები. დააკლდი ყველას, ვინც კი გიცნობდა. შენს ოჯახს დიდი ტკივილი და სევდა დაუტოვე სამუდამოდ. გული და თვალი დაგეძებს ყველგან, მეგობრებში, ნათესავებში, იქ, სადაც ყველაზე მეტად გიყვარდა ყოფნა, მაგრამ ამაოდ.

ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან ყვავილებით და სანთლებით ხელში, რათა გაგინათოთ მარადიული სასუფეველი. შენ წახვედი და დარჩა ლამაზი ხსოვნა, დარჩა უდიდესი ტკივილი. დარჩა მარმარილოს შავი ქვა წარწერით -ლიკა გიას ასული ხატიაშვილი.

საფლავის ქვაზე რა მინდა, დედა?
რატომ ჩამიტყდა ცხოვრების ხიდი,
რა შორს გავფრინდი, ვერავის გხედავთ,
მხოლოდ ვიცოცხლე 17 წელი,
ნუ გეშინიათ... კი არ დამკარგეთ,
აქ ვარ, მიცავენ ანგელოზები.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს სიცოცხლით გაუმაძღარო ჩემო შვილო.

შენი გამწარებული მშობლები

## შოთა ფოცხვერაშვილი



36 წლის ასაკში წახვედი და დატოვე 3 მცირეწლოვანი შვილი. 28 თებერვალს შენი შვილის დაბადების დღე იყო . პირდებოდი, რომ გადაუხდიდი. 8 წლის ხდებოდა , მაგრამ ვაი, ის 28 თებერვალი შენი დაკრძალვის დღდ იქცა. შენი სიკვდილის ხმა მეხივით გავარდა ქედში. ყველა დაგტიროდა, დიდი თუ პატარა, მთელი სოფელი გლოვობდა შენს გარდაცვალებას.

შენს მეგობრებს არასოდეს დავიწყებიხარ. ისინი ყოველთვის მოდიოდნენ შენს საფლავზე და გინთებდნენ სანთლებს.

ამჟამად შენთან ერთად განისვენებენ გივი გულიაშვილი, ნესტორ აფციაური, შოთა ხვლეური, რომანოზ კარატიელი, გულო ფხიკლეშვილი, შოთა წიკლაური. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები. მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაყრილი ქართული მიწა.

შენი ოჯახი

---

შვილები: ნინო, ლია ბულაშვილები, შვილიშვილები: თიკო და გიორგი მეხრიშვილები, სიძეები: დავით მეხრიშვილი, თომა კალანდარიშვილი. რძალი მარიამ თეთრაძე, ძმისშვილები და ძმისშვილიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა „რაიკავშირის“ ღვაწლმოსილი მუშაკი, ყოფილი ბუღალტერი

ესმა ბულაშვილ-ბიწკინაშვილი.

დაიკრძალა 21 აპრილს, ქ. დედოფლისწყაროში.

---

ნინო რობიზონის ასული ბულაშვილი თანაგრძნობას უცხადებს ნინო ამირანის ასულ ბულაშვილს საყვარელი დედის

ციცინო ფოლადაშვილ-ბულაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ლაშარი +-ის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ შპს „ინერტი ჯგუფის“ დირექტორს არჩილ გონაშვილს სიმამრის

გურამ იობაშვილის

გარდაცვალების გამო.

## დარეჯან ბეგიაშვილი

ჩემო ძვირფასო და საყვარელო შვილო, მოდის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, უკვე მესამედ ვხვდებით უშენოდ. ძალიან მძიმე და აუტანელია ეს ჩვენთვის. მოგონებად დამრჩა ჩვენი უკანასკნელი აღდგომის ღამისთევა, როდესაც უკვე მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში იყავი, მაგრამ მტკიცედ იდექი მთელი ღამის განმავლობაში. ტკივილებით შეწუხებული დასაჯდომს თვალით ეძებდი. ყველამ იცოდა შენი მდგომარეობა, მამა ლევანმა სკამიც კი მოატანინა შენთვის. მას შემდეგ მხოლოდ ორთვენახევარიღა იცოცხლე, დაიწყო მშობლებისთვის დასჯილი სიცოცხლე, გაჩნდა შენი შვილების თვალებში სევდა შენი მონატრებით გამოწვეული, შენი დების ყოველ მოსვლას თან ახლავს ცრემლი და დიდი ტკივილი. შენი მეუღლე ჩვენს გვერდით არის და ცდილობს, უშენობით გამოწვეული ტკივილი შრომაში ჩაკლას, უნდა, რომ არაფერი აკლდეს მის შვილებს. სულ უფრო მატულობს მშობლების გულში ის დიდი ტკივილი, რასაც უშენობა ჰქვია. გვენატრება შენი ხალისიანი სიცილი, შენი წკრიალა ხმით ნამღერი სიმღერის გაგონება, მოვდივართ შენს საფლავზე, ვეფერებით შენს სურათს, მაგრამ ის მიწა, რომელიც შენს სხეულს ფარავს, მინდა რომ ხელებით ამოვთხარო, კიდევ ერთხელ ჩაგიკრა გულში. ვაი, შენს უბედურ მშობლებს, ვაი, დაობლებულ შვილებს, ვაი, დედმამიშვილებს და მეუღლეს, რომლებიც უნუგეშოდ დაგვტოვე. დაიზარდნენ შენი შვილები, მშურს შენი უბედური მშობლებისთვის,რომ ჩვენ ვუყურებთ მათ გაზრდას და შენ ვერა. მაგრამ ბუნების ძალას წინ ვერ აღვუდგებით. კვლავაც მოვალთ შენს საფლავზე, აგინთებთ წმინდა სანთლებს, ცხარე ცრემლს დაგაყრით. ეს არის შენი უბედური მშობლების ნუგეში. გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს -„ქრისტე აღსდგა !“ იძინე მშვიდად, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო. ჩვენ შენი შვილების აღზრდაში გავლევთ ამ ტანჯულ სიცოცხლეს.

**მშობლები:** მარინა, ნიკო; **დები:** ხათუნა, ქეთევან ბეგიაშვილები; **მეუღლე** კობა, **შვილები:** ანა, ნიკოლოზ პოპიაშვილები.

# ეთერ ბექაშვილი



ქრისტე აღსდგა! ჩემო საამაყო, ჩემო საყვარელო შვილო. ჩემო ეთო, უკვე მეორედ მოვიდა აღდგომა უშენოდ. რა მძიმეა დღესასწაულები შენს გარეშე ჩვენთვის, ჩემო სანატრელო შვილო. გული შენს გარეშე თითქოს გაჩერდა, შენი მონატრება მაგიჟებს, შენ სულ ჩემთან ხარ, დედა გენაცვალოს, ასე მგონია, არსად არ წასულხარ, არც განმშორებიხარ. სადაც უნდა ვიყო, შენ სულ გვერდით მყავხარ.

ყველა გნატრობს, ყველას აკლიხარ. როგორ გიყვარდა ნათესავები, როგორი ყურადღებიანი და მოსიყვარულე დედა იყავი, როგორი ერთგული მეგობრობა იცოდი... ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი იყოს შენი და ყველა ქრისტიანის საყოველთაო აღდგომის საწინდარი.

**დედაშენი** ვენერა ყოჩიაშვილი; **შვილები:** ანა და სალომე გურასპაშვილები; **დები:** მარიკა, ნაირა და ფიქრია.

# ლაურა ტოკლიკიშვილი



მან ხომ მხოლოდ 22 წელი იცოცხლა, ღმერთო, მომეცი ძალა, რომ ლოცვებით შევეწიო ჩემი დის სულს, ლოცვებით გავუთბო გული, ლოცვით მოვეფერო და შევევედრო: ჩემო დიდო სიყვარულო, მწარე მონატრებად ქცეულო, სიზმრად მაინც მოდი, ერთად ვიზეიმოთ შენი დაბადების 60 წლისთავი. ამ დღეს გილოცავ მაგ სოფლად. სანთლებით და ლამაზი ყვავილებით გაგილამაზებ მაგ ნათელ და სპეტაკ სულს.

სიყვარულმა ის ბოსტოღანაშვილების ოჯახში მიიყვანა მომავლის იმედით და შვილების სიმრავლის სურვილით; მაგრამ თვალის გახელაც ვერ მოასწრო, ისე შეწყდა მისი სიცოცხლე, ბევრზე ბევრი ოცნება დარჩა განუხორციელებელი, ვერ ასრულდა სიყვარულით, ცხოვრების სიამითა და სილამაზით. ისე შეეწირა დედობას, რომ შთამომავალიც კი არ დაუტოვებია. მას შემდეგ 38 წელი გავიდა, რაც ჩვენგან ძალიან შორს ხარ, ჩემო საყვარელო, ჭკვიანო და ლამაზო ლაურა.

უსაზღვროა ჩემი მწუხარება, ენით გამოუთქმელი. ჩემი ძმისშვილის - ზაზას უდროოდ დაღუპვამ კვლავ გამიახლა შენი მონატრება. დრო ვერ ცვლის, ვერ ანელებს და ვერც თქვენს მიერ დატოვებულ ცრემლებს აშრობს.

ნათელში იყოს თქვენი სულები, ჩემო ლაურა და ზაზა.

დოდო, ჯემალი, ნინო, გიორგი ბიკაშვილები.

# ელიზბარ სუხიტაშვილი



უამრავმა დღემ და წელმა ჩაიარა უშენოდ.

შენი სახეცვლილი სული ჩვენში დარჩება, როგორც მარადიული ხსოვნა სიყვარულისა.

ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ მოგონებად დარჩი, დრო ვერ მოერევა იმ სიცარიელეს, რომელიც შენი იმქვეყნად წასვლით დატოვე.

უეცრად და ჩუმად ჩაქრა შენი სიცოცხლე, როგორც ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი. შენი შვილიშვილები ისეთები დაიზარდნენ, როგორსაც შენ ნატრობდი. შენ უკვე დიდი პაპა ხარ, ანდრიასი და ნინისი.

ვილოცებთ, რომ ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს და სიმშვიდე დაუმკვიდროს შენს სულს მარადიულ სასუფეველში.

ჩუმად, უხმაუროდ წახვედი, ერთი არ დაგიჩივლია. ნათქვამია, საქმემან შენმა წარმოგაჩინოსო. ილიას ისიც უთქვამს, კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს: ერთი ამქვეყნად დასატოვებელი და მეორე უფალთან წასაღებიო, შენ ორივე სახელი მოიპოვე.

24 აპრილს დაიხურა შენი ცხოვრების ბოლო ფურცელი. მანდ შეხვდებოდი შენს დას -დარეჯანს, სიძეს- ტარიელს, რომლებმაც ასევე ახალგაზრდებმა დატოვეს წუთისოფელი, მაგრამ, სანამ ჩვენი გული ფეთქავს, თქვენ იცოცხლებთ ყოველ ჩვენგანში.

ტკივილიანი მოგონებებით გაჯერებული წლები გავიდა, მადლიანი ხალხი იყავით. ახლაღა გავაცნობიერეთ, რომ თქვენ აღარ ხართ...

ბზობას და აღდგომას გილოცავ მამა, მამიდა დარეჯან, ძია ტარიელ! სამთავემ უდროოდ დატოვეთ წუთისოფელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები!..

მარიკა სუხიტაშვილი

# ზაზა ტოკლიკიშვილი



2009 წლის 25 ნოემბერი ავბედითი დღეა ჩვენი ოჯახისთვის. ულობელმა სიკვდილმა გაგვტაცა შენი თავი, თანაც ისე, რომ შენი შთამომავალიც არ დაგვიტოვა.

37 წლის ასაკში წახვედი და თან გაიყოლე უამრავი ფიქრი და დარდი, აუხდენელი ოცნება. ლამაზ, სათნო და მოსიყვარულე ბიჭს სიცოცხლე გწყუროდა, მაგრამ სიკვდილის მსახვრალმა ხელმა არარაობად აქცია შენი ოცნება. შენთან ჯერ სიკვდილს რა უნდოდა, შვილო ზაზა!

უშენოდ ცრემლითა და წუხილით გადის დრო და უფრო მემატება სევდა და დარდი. მენატრები, მე შენი სიცოცხლე და გახარება მინდოდა, შენთან მინდოდა სიბერე და ლამაზი სიკვდილიც, მე შენი ხელით მინდოდა მიწის დაყრა.

მაპატიე ამქვეყნად არსებობა, შვილო. ჩემი ბოლო იმედი ჩვენი იმქვეყნად შეხვედრაა. უფლის მჯერა, მწამს, რომ ცათა სასუფეველში ხარ. ვეცდები, ჩემი მწარე ცრემლებით შენი წმინდა სული არ დავამძიმო, თუმცა, ძალიან მიჭირს, ნეტავ ჩვენ ვიყოთ შენს ადგილას, შვილო, და შენ დაგვბრუნებოდი ოჯახში. მაგრამ არაფრის შეცვლა რომ არ შეგიძლია, ესაა უბედურება.

დაე, შენმა სულმა სასუფეველი ჰპოვოს ზეცაში. იძინე მშვიდად ჩვენო უიღბლო, გაუხარელო, სიცოცხლით გაუმაძღარო შვილო, ზაზა!

**დედა, მამა, დები:** ია, ლაურა, ჯულიეტა; კაკო ტოკლიკიშვილები.

# მარინა ნატროშვილი–მაძღარაშვილი



გვარიც ადასტურებს, რომ ქალბატონი მარინას ფესვები ზემო მაჩხაანიდანაა, თუმცა, თვითონ წნორში დაიბადა 1936 წელს. მისი მშობლები-ალექსი და თებრო მშრომელი ადამიანები იყვნენ. ოთხი ქალიშვილი გაზარდეს და დააბინავეს. ერთ-ერთი მათგანი ელიკო ჯაფარიძეში გამოთხოვდა და მარინაც დას ძალიან ხშირად სტუმრობდა. ამიტომ მას დედოფლისწყაროში ბევრი მეგობარი და სანაცნობო წრე ჰყავდა.

მარინა ნატროშვილი, წნორის №1 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, პედაგოგის პროფესიას დაეუფლა, თუმცა, ოცნება ვერ აიხდინა, სკოლაში არასოდეს უმუშავია. მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ოთხი შვილის, რვა შვილიშვილის და სამი შვილთაშვილის აღზრდა-განათლებას, ქმარ-შვილისა და ოჯახის მოვლას შეალია. და მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიცოცხლე დიასახლისის ტიტული ჰქონდა, ფაქიზი სული და რომანტიკული ხასიათი ბოლომდე შერჩა, აკადემიური ქართულით საუბრობდა, ბევრს კითხულობდა და თავადაც უჭრიდა კალამი. პოეზიის ტრფიალი იყო და ხშირად გადმოსცემდა თავის ნააზრევს და გრძნობებს ლექსად. გასული წლის 28 აპრილს, ანუ ზუსტად 1 წლის წინ, მარინა, იგივე მაგნიკო, როგორც მას ახლობლები ეძახდნენ ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, დატოვა შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, რომლებიც მუდამ იამაყებენ მისი შემოქმედებით, რომლის მთავარი აზრი სიყვარული, მიტევება, თავდადება და პატრიოტიზმია. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

ქალბატონი მარინას ხსოვნა კი სულ მუდამ იქნება მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობის გულში, ისე, როგორც მისი ფაქიზი შემოქმედება. მას გაიხსენებენ მისი მეგობრები ჩვენს ქალაქშიც, რადგან მარინა იყო არაჩვეულებრივი მეგობარი, სანდო და ერთგული. უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი, რათა განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ნაირა გორაშვილი.

### ია-მამული
**ვუძღვნი პუტჩის დროინდელ საქართველოს**

ჩემო საბრალო იაო!
რად კვნესი, რაი გტკივაო?
რომელი ერთი მოგიყვეთ,
აბა რა აღარ მტკივაო.
მომწყვიტეს გული, რომელიც
ყველასთვის გამიყვიაო,
შემომამარცვეს ფოთლები,
ახლა ღეროსაც მჭრიანო.
მიშველეთ, თორემ ვაიმე,
ფესვებსაც გამიხმიანო.

### აფხაზეთი – ჭრილობა

ნაომარი, ნაოხარი მიწა მმიმედ ხვნეშის,
სამშობლოდან აყრილების ვაი-ვიუში გვესმის,
ქარი სტვენს, თუ უსაფლავო შვილის დედა კვნესის.
დარდიანი, ცრემლიანი გათანგულა შიშით.
სად ემიოს შვილის მვლები, სად აუგოს ნიში,
როგორ იწირება ჩვენი ჯილაგი და ჯიში,
ზღვა ბორგავს და იჯაგრება ცრემლს შხეფებად ისვრის,
ყოველ ხის და ბუჩქის მირას დაღვრილია სისხლი.
ქარი სტვენს თუ დაქვრივებულ ქალის მოთქმა ისმის
თვალდახრილი იმზირება გადამწვარი სახლი.
ნასახლართან შვილს სტირიან
შუბლში ტყვიადახლილს
და ჭარმაგი მამა ლესავს
ახლა სამტროდ მახვილს.
გათქერილი ნარინჯები, გათელილი მდელო,
გადამთიელ ყაჩაღებით გატანილი ლელო.
ოი, ბევრჯერ ჭირნახულო, ჩემო საქართველო!
ჩვენს ცარგვალზე დამხობილა უკუნი და ნისლი
ბუდეაშლილთ ენატრებათ ქოხი თუნდაც ისლის
ერთ მუჭა ერს სადა გვქონდა დასაღვრელი სისხლი
ქარი სტვენს, თუ დაობლებულ შვილის მოთქმა ისმის
ქართლის დედას მოუმრავლდა ჭაღარა და თალხი..
რა მნელია საყურებლად დათრგუნული ხალხი.

### ფიქრი აღსრულების წინ
**ვუძღვნი ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას**

მე ყველაფერი ხატად ვიწამე,
ჩემი მამულის ტყეთა სიმწვანე,
ჩემი მამულის ცის სილაჟვარდე,
ჩემი მამულის ზღვის სიკაშკაშე,
ჩემი მამულის ტბათა სილურჯე
ჩემი მამულის კლდეთა სიურჩე
ჩემი მამულის ჩანჩქერთ სიუხვე,
ჩემი მამულის ბილიკ-ჭიუხებ,
ჩემი მამულის ზვუიდი მთები,
მე მხოლოდ ამ ცის ქვეშ ვსუთქავ შვებით.
ჩემი მამულის ღრიალა თერგი,
დარიალის კლდეთ რომ ლოკავს გზნებით.
ჩემი მამულის სერი და კორდი,
ჩემი მამულის მინდორი, ველი,
ჩემი მამულის ლიკლიკა წყარო,
ჩემი მამულის ნადირ-ფრინველი;
ჩემი მამულის ბუნების შვილნი
ყველა თვალშავა და თვალზღვისფერი.
ჩემი მამულის მზე სანთლისფერი,
მთვარე ლამაზი, თავთუხისფერი,
გადამირჩინე ღმერთო!
მიცოცხლე
ჩემი მშობელი ქართველი ერი.

### გაზაფხული
**ვუძღვნი პატარებს**

ფერდობებმა მმივებად
დაიმშვენეს იები
ისმის სტვენა-გალობა
ჭრელი ჩიტუნიების.
ყვავილს ეფერებიან
მოზუზუნე ფუტკრები,
ნეკერს აკნატუნებენ
თვალხატულა ნუკრები.
ნაირნაირ ფერებით
მოჩითულა ველები,
ტყეში დამუნმულებენ
დათუნიას ბელები.

### თოვს

თოვს, თოვს, თოვს,
ფანტელები ცვივა,
ბეღურები ჯღურტუნებენ – ცივა.
ქრის, ქრის, ქრის
ხიდან თოვლი ცვივა.
ტყეში მგლები დაუმუიან – ცივა.
სცრის, სცრის, სცრის
ხოშკაკალა ცვივა
ბებო ღუმელს მისჯდომია – ცივა.

# როგორ აღნიშნავენ აღდგომას საქართველოსა და ევროპაში

## აღდგომა საქართველოში

აღდგომას საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულად ზეიმობდნენ. საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეფის კარის სააღდგომო სამზადისზე ვახუშტი ბაგრატიონი: "ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, დაუწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთაობა. მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან-სახიობთა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ - გალობანი. ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობთა ცემანი."

ჩვეულებრივი მოკვდავნი აღდგომას შედარებით მოკრძალებულად აღნიშნავდნენ. სადღესასწაულო სუფრას ამშვენებდა მშრალად მოხარშული ღორის ბარკალი, წითელი კვერცხები, ქადა, ხაჭაპური, შოთის პური, ყველი, მწვანილი, მწნილი, ხილი და რასაკვირველია, წითელი ღვინო.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელს სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილით და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

რაჭაში აღდგომა დილით წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ, მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დაალაგებდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს "გიორგონთობას" ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

ყოველ წელიწადს, აღდგომის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს მიივიწყეს. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ — ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

ხევის სოფლებში აღდგომის აღნიშვნის სხვადასხვანაირი ტრადიცია არსებობდა. სოფელ სნოში ამ დღეს ახალგაზრდა ვაჟთა მშვილდ-ისრებიანი ჯგუფი იკრიბებოდა, რომელსაც სოფლისთვის პატივსაცემი უფროსი ასაკის მამაკაცი ხელმძღვანელობდა. ჯგუფი მთელ სოფელს მოივლიდა, ყოველ მცხოვრებს შინ ეწვეოდა. ჭიშკართან ჯგუფის უფროსი დაიძახებდა - „ქრისტე აღსდგა!" შემდეგ ახალგაზრდები ერთდროულად უპასუხებდნენ - „ჭეშმარიტად!" ოჯახის დიასახლისი გამოეგებებოდა სტუმრებს და შესაწირი გამოჰქონდა - სააღდგომო კვერცხები, რომლებსაც ეზოს შუაგულში აწყობდნენ, თან ხმამაღლა იძახდნენ რომელ კვერცხს რომელი ოჯახის წევრის სახელზე დებდნენ. მწკრივში დალაგებულ კვერცხებს ახალგაზრდები რიგრიგობით ესროდნენ ისრებს, მანამ, სანამ ყველა კვერცხს არ მოარტყამდნენ. ბედნიერად ითვლებოდა ის, ვის სახელზე დადებული კვერცხიც პირველი გატყდებოდა.

ხშირად სოფლის მცხოვრებნი კვერცხთან ერთად სხვადასხვა საკვებს და ფულს სწირავდნენ. აღდგომის დღეს მოხევეები თვით ახლად დაკრძალულ მიცვალებულსაც არ მოიხსენიებდნენ, მიცვალებულებისთვის სპეციალურად დღესასწაულის მეორე დღეს ღებავდნენ კვერცხს. ბრწყინვალე და ყველგან უამრავი სანთელი ენთო. ბოლოს „ქრისტე აღსდგას" გალობით ყველა შინ ბრუნდებოდა. ყველიანი და კვერცხიანი პურის კვერები და შემწვარი გოჭი მეგრული სააღდგომო სუფრის განუყოფელი ნაწილი იყო. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს და ამ ყველაფერს საღმრთო საოხრო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და არიგებდნენ.კახურ სუფრას, რა თქმა უნდა, ამშვენებდა კარგი წითელი ღვინო. ამ კუთხეში დღემდე შემორჩენილია რწმენა, რომ ვინც წითელ პარასკევს ჩურჩხელას შეჭამს, მთელი წლის განმავლობაში ქვეწარმავლებისგან საფრთხე არ დაემუქრება.



აღდგომის აღნიშვნის ტრადიციები გარკვეული სახეცვლილებით ხევში დღემდე არსებობს.

სამხრეთ საქართველოში სააღდგომო პურობის აუცილებელი ატრიბუტი იყო სპეციალურად შემონახული მშრალად მოხარშული ღორის ბარკალი, წითელი კვერცხები, ქადა, შოთი, ყველი, მწნილეულობა, სხვადასხვა ჩირი და ღვინო-არაყი.

იმერეთში ღამე ეკლესიის ზარების რეკვასთან ერთად ბუკის ძახილიც სცოდნიათ, მამლის პირველ ყივილზე ეს ხმა ხალხს წირვაზე დასასწრებად უხმობდა. ამბობენ, რომ მესამე ყივილზე მრევლი უკვე ტაძარში მიდიოდა.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ სამეგრელოში.სამეგრელოში სააღდგომო წირვა შუაღამით იწყებოდა. ტაძარი ხალხით ივსებოდა

## აღდგომა ევროპაში

აღდგომა ევროპაშიც განსაკუთრებული მოვლენაა. მის განუყრელ ატრიბუტად დიდი ხანია იქცა კურდღელი, რომელსაც სააღდგომო კვერცხები მოაქვს. ეს ტრადიცია ყველაზე მეტად გერმანიაშია პოპულარული, სადაც სადღესასწაულოდ უამრავ შოკოლადის კურდღელსა და კვერცხს ამზადებენ. ქუჩებში დადიან ამ ცხოველის ფორმაში გამოწყობილი ადამიანები, რომელთაც კალათებში შოკოლადის კვერცხები უწყვიათ. სააღდგომო კურდღლის სიმბოლიკას სხვადასხვა ახსნა აქვს. ერთ-ერთი ვერსიით, იგი კავშირშია გაზაფხულის ქალღმერთ Eოსტრე —სთან, რომლის ატრიბუტებსაც წარმოადგენს კვერცხი და კურდღელი. საგულისხმოა, რომ გერმანულად აღდგომას ჭსტერნ-ი ჰქვია. დღესასწაულს გერმანელები ოჯახურ გარემოში აღნიშნავენ. საზეიმო სადილის შემდეგ ბავშვები ეძებენ საჩუქრებს, რომლებიც სააღდგომო კურდღლმა დაუმალა, დღის მეორე ნახევარში კი სტუმრად მიდიან ან თავად იღებენ მეგობრებსა და ნათესავებს.

ავსტრალიაშიც შოკოლადის ან შაქრის კვერცხებს ამზადებენ, რომელთაც კურდღლის ან გადაშენების პირას მისული ავსტრალიური ცხოველის, ბილბის ფორმა აქვს. მათი სააღდგომო მენიუ ცხვრის, შემწვარი ღორის ან ქათმისგან შედგება. გარნირად კარტოფილის, გოგრის, ლობიოსა და ბარდის კერძებს მიირთმევენ. დესერტად აქვთ ტრადიციული ავსტრალიური სააღდგომო ტკბილეული — ხილით გაფორმებული ბეზეს ტორტი. ძალიან პოპულარულია ტკბილი ცხელი ფუნთუშები, რომელსაც ეკლესიიდან დაბრუნების შემდეგ შეექცევიან.

სააღდგომოდ შვედები სახლებს ყვავილებით რთავენ, კუთხეებში კი ფერადი ბუმბულით გაფორებულ ყვითელ წიწილებს დგამენ. სააღდგომო კვერცხს მუყაოსგან ამზადებენ, რომელშიც კანფეტებია ჩალაგებული. სადღესასწაულო სუფრა საშობაო სუფრის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ჭარბობს ტკბილეული.

პოლონეთში კვერცხებს სხვადასხვაფრად ღებავენ, ამზადებენ ხაჭოს პასკებს, რომელთაც ნუშით, ცუკატებით და ხმელი ხილით აფორმებენ. სადღესასწაულო მენიუშია ასევე სააღდგომო ტორტი, რომელიც 3-4 დღით ადრე ცხვება. მისი ცომი ძალიან ფხვიერია და კრემით გასაჟღენთად დიდი დრო სჭირდება. ამბობენ, რომ ძალიან გემრიელია.

იტალიელები სააღდგომოდ იტალიურ კულიჩს, პანეტონეს აცხობენ, რომელსაც ქიშმიშითა და გამხმარი ხილით რთავენ. ეს ნუგბარი სუფრაზე დაჭრილი მიაქვთ და იტალიურ ღვინოებთან, Spumante-სა და Moscato-სთან ერთად მიირთმევენ.

ბულგარეთში დიდ სააღდგომო კულიჩს გარშემო სხვადასხვაფრად შეღებილ კვერცხებს ულაგებენ და მოგვიანებით მათი მიჭახუნებით ირთობენ თავს.

ამერიკელები აღდგომის დღეს აუცილებლად ესწრებიან სადღესასწაულო მსახურებას, შემდეგ კი სუფრასთან ინაცვლებენ. ტრადიციული სააღდგომო მენიუ ასეთია: ღორი ანანასითა და კარტოფილით, ხილისა და ბოსტნეულის სალათით. სააღდგომო კურდღელს ბავშვებისთვის საჩუქრებიც მოაქვს, ძირითადად, კვერცხის, შოკოლადისა და კანფეტების სახით.

ესეც ჩვენი სააღდგომო მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო. როგორც ხედავთ, დღესასწაული ყველგან დღესასწაულია. არა აქვს მნიშვნელობა, რა რაოდენობის კერძი დევს სუფრაზე, მთავარია, საზეიმო განწყობა, რასაც, დამეთანხმებით, ამ დღეებში წითელი კვერცხი და პასკა ქმნის. ჰოდა, ახლა მათ შესახებაც მოგიყვებით.

## წითელი კვერცხი

წითელი კვერცხი სააღდგომო სუფრის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია, რომელსაც ვნების პარასკევს ღებავენ, ნიშნად ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოსახსნელად დაღვრილი სისხლისა. გადმოცემით, წმინდა მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორ ტიბერიუსს აღდგომა ახარა და კვერცხი მიართვა. ტიბერიუსმა უპასუხა, მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამ სიტყვებზე კვერცხმა ფერი შეცვალა. მას შემდეგ მორწმუნე ქრისტიანებში კვერცხის შეღებვა ტრადიციად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფხვნილი არსებობს, კვერცხის შეღებვის ყველაზე ნაცად და გამართლებულ საშუალებად დღემდე ენდრო და ხახვის ფურცელი რჩება. გარდა იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთაა, ენდრო კვერცხს განსაკუთრებულ გემოს და არომატსაც ანიჭებს. ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ენდროთი შეღებილი სააღდგომო კვერცხი გამორჩეულად გემრიელია და დიდი ხნის განმავლობაში არ ფუჭდება.

სააღდგომო კვერცხის მოხატვა უამრავი ადამიანის ჰობი გახდა, თუმცა, ცნობილი იუველირის, ფაბერჟეს ქმნილებებს ბადალი დღემდე არა ყავს. მის მიერ დამზადებული ულამაზესი დეკორატიული კვერცხები სპეციალურ ყუთებში ინახებოდა და საჩვენებლად მხოლოდ აღდგომის დღესასწაულზე გამოჰქონდათ. ფაბერჟე ასლს არასოდეს აკეთებდა. სწორედ ამიტომაა მისი თითოეული ნამუშევარი უნიკალური. ცნობილი იუველირის 47 კვერცხი დღესდღეობით მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში ინახება.

## სააღდგომო პასკა

სააღდგომო სუფრის კიდევ ერთი ატრიბუტია პასკა, რომელსაც ქრისტიანები მაცხოვრის აღდგომის რწმენის ნიშნად აცხობენ. სიმბოლურად იგი გოლგოთას აღნიშნავს, მთას, სადაც აწამეს და ჯვარს აცვეს ქრისტე. სააღდგომო პასკა ფორმით არტოსს წააგავს, სადღესასწაულო პურს, რომელსაც ეკლესიაში აღდგომის დღეებში არიგებენ, თუმცა, მისგან განსხვავებით, საკმაოდ ტკბილი და ნოყიერია. სააღდგომო პასკაში აუცილებლად უნდა იყოს ბევრი ქიშმიში, სანელებლები და ცხიმი — ეს არის იმ დიდი დღესასწაულის ხორციელი გამოხატულება, რასაც კაცობრიობა აღდგომის ბრწყინვალე დღეებში განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პასკის შეძენა ბევრგან შეიძლება, შინ გამომცხვარს სულ სხვა გემო და ხიბლი აქვს. პროცესი საკმაოდ შრომატევადია, თუმცა, დღესასწაულის განცდას ამძაფრებს. შედეგი კი იმდენად სასიამოვნოა, წვალებად ნამდვილად ღირს.

## ხაჭოს პასკა

სააღდგომო სუფრის კიდევ ერთი ატრიბუტია ხაჭოს პასკა, რომელიც რუსეთსა და პოლონეთშია გავრცელებული. იმას, რასაც ჩვენ პასკას ვუწოდებთ, იქ კულიჩი ჰქვია, პასკას კი ხაჭოს ნუგბარს ეძახიან, რომელსაც გამოცხობა არ სჭირდება და სხვადასხვა ინგრედიენტის შერევით მზადდება. საქართველოში ნაკლებადაა გავრცელებული, თუმცა, ბოლო წლებში ჩვენთანაც დაიწყეს მისი მომზადება.

## ამინდი — დედოფლისწყარო

| ორშაბათი 02.05 | | სამშაბათი 03.05 | | ოთხშაბათი 04.05 | | ხუთშაბათი 05.05 | | პარასკევი 06.05 | | შაბათი 07.05 | | კვირა 08.05 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 14 ° | 13 ° | 15 ° | 14 ° | 18 ° | 17 ° | 15 ° | 13 ° | 13 ° | 12 ° | 12 ° | 11 ° | 13 ° | 12 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.